ბაფის პროფესიული სერტიფიცირების გამოცდების
უსაფრთხოდ ჩატარების წესები

წინამდებარე წესები მომზადებულია COVID-19 დაკავშირებით, საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანების _01-227_დანართი #22-ის თანახმად

ძირითადი წესები:

- სერტიფიცირების კანდიდატთა მიღებისას საგამოცდო ცენტრში უზრუნველყოფილ იქნება:
  - სერტიფიცირების კანდიდატთა რეგისტრაციისათვის შენობაში წინასწარ ადგილების მონიშვნა (უსაფრთხო დისტანციის, მინიმუმ **2 მ-ის დაცვით);**
  - **რეგისტრატორების აღჭურვა სახის დამცავი ფარით და ნიღბით.**

გარდა ამისა, უსაფრთხოების მიზნით:

- საგამოცდო ცენტრის შესასვლელთან **განახორციელდება თერმოსკრინინგი** დისტანციური თერმომეტრის საშუალებით.
- რესპირატორული სინდრომების/ცხელების მქონე კანდიდატებისთვის გამოყოფილ იქნება **სარეზერვო ოთახი;**
- ცენტრის შესასვლელში განთავსდება **დეზობარიერი**, შესაბამისი ნიშნის მითითებით;
- გამოცდის ზედამხედველები და კანდიდატები საგამოცდო ცენტრში არ დაიშვება **ინდივიდუალური დაცვის** საშუალებების გარეშე;
- ზედამხედველის სამუშაო მაგიდაზე განთავსდება ზედაპირის **სადეზინფექციო საშუალება;**
- საგამოცდო ცენტრი აღჭურვილ იქნება გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის **დახურული კონტეინერებით.**

კონდიცირება და ვენტილაცია:

- უზრუნველყოფილ იქნება ბუნებრივი უსაფრთხო ვენტილაცია **გარედან შემოსული ჰაერით;**
- ოთახების წინასწარი გაგრილების პრინციპი განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით*:*
  - გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო სივრცის დასუფთავება/დეზინფექცია;
  - განიავება გაღებული ფანჯრებისა და კარის პირობებში, 30 წუთის განმავლობაში ორპირი ქარის პრინციპით;
  - ე.წ. საყოფაცხოვრებო **კონდიციონერის ჩართვა** დასაშვებია გამოცდის დაწყებამდე, კანდიდატების ოთახში შესვლის დაწყების პერიოდამდე.

თერმოსკრინინგი და კანდიდატთა გამოცდაზე დაშვების პირობები:

- თუ კანდიდატს გამოცდის წინა დღეებში ექნება მაღალი ტემპერატურა, მან უნდა ჩაიტაროს PCR-ტესტი და **წარმოადგინოს ცნობა,** რომ არ არის კოვიდით ინფიცირებული. ასევე, თუ აქვს ქრონიკული სიცხე, უნდა მოიტანოს სამედიცინო დაწესებულების ოჯახის ექიმის (ან ქრონიკული დაავადების არსებობის შემთხვევაში, ექიმ-სპეციალისტის) ცნობა (ფორმა #100);
  - თუ კანდიდატს 37.00C ან 37.00C -ზე მეტი ტემპერატურა აღენიშნა, 15 წუთში გადამოწმდება ტემპერატურა ვერცხლისწყლის თერმომეტრით. გადამოწმების შემდეგ 37.50C-მდე (37.40C -ის ჩათვლით) შედეგის შემთხვევაში:
  - თუ კანდიდატს აქვს გამოცდამდე, არაუმეტეს 2-3 დღით ადრე, ჩატარებული და მიღებული PCR- ტესტირების დასკვნა კოვიდ-უარყოფითი შედეგით, მაშინ ის განთავსდება ჩვეულებრივ სხვა გამოსაცდელებთან საერთო დარბაზში.
  - თუ კანდიდატს არა აქვს გამოცდამდე, არაუმეტეს 2-3 დღით ადრე, ჩატარებული და მიღებული PCR-ტესტირების დასკვნა კოვიდ-უარყოფითი შედეგით, კანდიდატი **განთავსდება ცალკე სარეზერვო ოთახში** ორმეტრიანი რადიუსის დისტანციით ამავე ოთახის სხვა მაგიდებთან.

- **ტემპერატურის 37.50C -ზე მეტის შემთხვევაში:**
  - თუ კანდიდატს არ აქვს გამოცდამდე, არაუმეტეს 2-3 დღით ადრე, ჩატარებული PCR-ტესტირების დასკვნა კოვიდ-უარყოფითი შედეგით, **ის მოიხსნება გამოცდიდან** და რეკომენდაციის თანახმად, უნდა მიმართოს ექიმს/დარეკოს 112-ზე;

კანდიდატთა ვალდებულებებია:

- საგამოცდო ცენტრში ზედმეტი ნივთების (გარდა ნებადართულისა) არ შემოტანა;
- საგამოცდო ცენტრში ნიღბის ან დამცავი ფარის ტარების აუცილებლობა;
- გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენების, ნიღბების და სხვა საშუალებების მოთავსება ერთჯერად პარკში და გამოცდის შემდეგ დახურულ კონტეინერში განთავსება;
- ვირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებული წესების დაცვა.

ბაფის განათლების კომიტეტი